იმერეთის მხარის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საჭიროებების შესწავლა

ორგანიზაცია: ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო
კვლევაზე მუშაობდნენ: ნინო ხუხუა, თამარ კიტოვანი, მაია გიორგაძე

რეზიუმე

სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქვეყნის განვითარებაში, ამიტომ მათ წინაშე არსებული პრობლემები აფერხებს არა მხოლოდ სამოქალაქო სექტორს, არამედ ქვეყნის წინსვლის პროცესსაც.

სექტორში არსებული გამოწვევები გარკვეულწილად განსხვავდება რეგიონების მიხედვით. აღნიშნული კვლევის ფოკუსი მიმართულია იმერეთის რეგიონზე და იქ მოქმედი ორგანიზაციების წინაშე არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებზე.

კვლევის ფარგლებში,რესპონდნეტების პასუხებზე დაყრდნობით გამოიკვეთა სხვადასხვა ტიპის პრობლემა, რომლებიც საერთოა თითქმის ყველა ორგანიზაციისთვის.კერძოდ, ესენია ორგანიზაციული განვითარების ნაკლებობა, პროფესიონალი კადრების გადინება, დონორებთან და სახელმწიფო უწყებებთან კომუნიკაციის ნაკლებობა და ფინანსური არამდგრადობა, რაც გულისხმობს შემოსავლების არასტაბილურ ხასიათს, საგრანტო შესაძლებლობების სიმცირესა და დივერსიფიცირებული შემოსავლების ნაკლებობას.

აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად, ორგანიზაციები საჭიროდ მიიჩნევენ კომპლექსურ მიდგომას, პირველ რიგში მნიშვნელოვანია ორგანიზაციების ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობა და მდგრადობის მექანიზმის დანერგვა,პანდემიამ ასევე წარმოაჩინა კრიზისების მართვის მექანიმიზმის შემუშავების აუცილებლობაც, რათა ორგანიზაციების ფუნქციონირების საკითხი ამა თუ იმ ვითარებაში არ დადგეს რისკის ქვეშ. აგრეთვე, ორგანიზაციების მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელია კადრების კომპეტენციის ამაღლება, როგორც თეორიული(ტრენინგები, ვორქშოპები, სემინარები და ა.შ) ისე პრაქტიკული (სხვა ორგანიზაციებთან კოალიციური პროექტების განხორციელება, სასწავლო ვიზიტები, ფორუმებში მონაწილეობა) უნარ-ჩვევების გაძლიერებით.

გამოიკვეთა ასევე დონორებთან და სახელმწიფო სტრუქტურებთან უფრო აქტიური კომუნიკაციის მნიშვნელობა, რაც ორგანიზაციების ეფექტური მუშაობისთვის საკვანძო საკითხს წარმოადგენს.

შესავალი

იმერეთში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობენ დემოკრატიის განვითარების, პოლიტიკისა შემუშავების, სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობის მონიტორინგის, საზოგადოების ინფორმირების, მხარდაჭერის, ცნობიერების ამაღლებისა და სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან პროცესში. მათმა მუშაობამ არაერთ

პოზიტიურ ცვლილებას მისცა ბიძგი, თუმცა სექტორში არსებული პრობლემები სხვა ფაქტორებთან ერთად მნიშვნელოვნად ამცირებს მათი მუშაობის ეფექტურობას.

ორგანიზაციების წინაშე არსებული პრობლემების მოგვარებისთვის, პირველ რიგში მნიშვნელოვანია მოხდეს მათი სიღრმისეული შესწავლა და ანალიზი, რათა მათზე შემდგომი რეაგირებისთვის შემუშავდეს შესაბამისი მიდგომები, როგორც ორგანიზაციების ისე სხვა დაინტერესებული აქტორების მხრიდან.

კვლევა ეფუძნება 41 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის მიერ შევსებულ კითხვარს, რომელშიც რესპონდენტებმა დააფიქსირეს მათი პოზიცია სამოქალაქო სექტორის მნიშვნელობის, მისი განვითარებისთვის საჭირო რესურსებისა და მათ წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ. პასუხებზე დაყრდნობით გაანალიზდა სექტორში არსებული პრობლემები, საჭიროებები და შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები.

კვლევის შედეგები გადმოცემულია შემდეგი სტრუქტურის დაცვით: მეთოდოლოგია, კვლევის მიზნები, ეთიკურ მხარეს, გამოკითხვის შედეგების ანალიზი და რეკომენდაციები.

ვფიქრობთ , ჩვენი კვლევა საინტერესო იქნება, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთის, ისე დონორებისთვის, სახელმწიფო სტრუქტურების წარმოამდგენლებისა და სხვა დაინტერესებული მხრარეებისთვის.

კვლევის მიზნები

კვლევის მიზანია, შეისწავლოს იმერეთის რეგიონში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საჭიროებები. გამოკითხვის შედეგად მიღებული პასუხების ანალიზის საფუძველზე მომზადდა კვლევის ანგარიში, რომელშიც ერთის მხრივ საუბარი არის სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელობასა და როლზე, ასევე იმ საჭიროებებზე რაც დგას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წინაშე. მეორეს მხრივ დოკუმენტში მოცემულია ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები, რაც მიზნად ისახავს საკითხის უფრო სიღრმისეულად შესწავლას, ინფორმაციის მიწოდებას დაინტერესებული მხარეებისთვის და ამ გზით არასამთავრობო სექტორის წინაშე არსებული პრობლემების მოგვარების ხელშეწყობას.

ასევე, კველვის მიზანია გაკეთდეს შედარებითი ანალიზი, ორგანიზაციის მიერ 2020 წელს ჩატარებულ კვლევასთან მიმართებით, რომელიც აღწერდა, კოვიდ პანდემიის პირობებში, მესამე სექტორში არსებულ გამოწვევებს. წარმოდგენილი კვლევა დაგვანახებს, 2020 წელს პანდემიის პერიოდში არსებული საჭიროებები, კვლავ არის თუ არა აქტუალური პოსტ კოვიდ ეტაპზე.

მეთოდოლოგია

კვლევა ჩატარდა თვისებრივი მეთოდის გამოყენებით. კვლევაში მონაწილეობდა 41 ორგანიცაციის წარმომადგენელი, რომელთა ნახევარზე მეტი(21) იყო ქუთაისიდან, 5 წყალტუბოდან,4 ხარაგაულიდან,2 ბაღდათიდან, 2 ხონიდან,

ზესტაფონიდან,სამტრედიიდან,ტყიბულიდან,საჩხერედან,თერჯოლიდან, ჭიათურიდან და ვანიდან კი მხოლოდ თითო-თითო ორგანიზაცია იყო წარმოდგენილი.რესპონდენტებმა ანონიმურობის დაცვით შეავსეს ონლაინ კითხვარი, რომელიც შედგებოდა როგორც ღია ისე დახურული კითხვებისგან, რაც შესაძლებლობას გვაძლევდა გაგვეანალიზებინა მათი დამოკიდებულება მოცემული საკითხების მიმართ. კითხვების პირველი ნაწილი მოიცავს ზოგად ინფორმაციას ორგანიზაციების ადგილმდებარეობის,საქმიანობის სფეროს,სამიზნე ჯგუფებისა და გამოცდილების შესახებ. მეორე ნაწილში ორგანიზაციები აფასებდნენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების როლს დემოკრატიის განვითარების პროცესში, საკუთრივ იმერეთში მოქმედ ორგანიზაციებს და მათ შორის თანამშრომლობას.

მესამე ნაწილი კი რომელიც ძირითადად ღია კითხვებს მოიცავს ეხება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წინაშე არსებულ გამოწვევებს, რეგიონულ განსხვავებებს, მათ ხედვას ორგანიზაციების განვითარებისთვის საჭირო რესურსების შესახებ, დონორებთან და სახელმწიფო ინსტიტუტებთან თანამშრომლობას.

პასუხებზე დაყრდნობით საბოლოო ეტაპზე მოხდა ძირითადი საჭიროებების შეფასება და მასზე დაფუძნებით რეკომენდაციების მომზადება.

უნდა აღინიშნოს, რომ გამოწვევები და ძირითადი მიგნებები წარმოაჩენს იმერეთის მხარეში არსებულ ძირითად ტენდენციებს და არ შეიძლება განზოგადდეს როგორც მთლიანი სექტორის პოზიცია მთელი საქართველოს მასშტაბით. ასევე, დოკუმენტში აღწერილია ის ეთიკური საკითხები, რომელთა გათვალისწინებითაც განხორციელდა საჭიროებათა შეფასება და მომზადდა დოკუმენტი.

ეთიკური მხარე

გამოკითხვა ჩატარდა ისეთი ეთიკური პრინციპების დაცვით, როგორიცაა ინფორმირებული თანხმობა და ნებაყოფლობითი მონაწილეობა, ანონიმურობა, კონფიდენციალობა და ,,არ ავნო" პრინციპი.

ინფორმირებული თანხმობა და ნებაყოფლობითი მონაწილეობა:

გამოკითხვაში მონაწილეობამდე თითოეულ პირს მიეწოდა ინფორმაცია შესწავლის მიზნების, ფორმატის, ხანგრძლივობისა და მოპოვებული ინფორმაციის დამუშავება/დაცვის თაობაზე. შედეგად, მიღებულ იქნება მათგან ინფორმირებული თანხმობა, რაც ნებაყოფლობითი მონაწილეობის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.

გამოკითხვის შედეგები

კვლევის ძირითადი მიგნებები ეფუძნება 41 ორგანიზაციის წარმომადგენლის მიერ შევსებულ კითხვარს, ეს ორგანიზაციები იმერეთის რეგიონული ჰაბის ბაზაში რეგისტრირებულ 171 ორგანიზაციას შორის ყველაზე აქტიურ ნაწილს წარმოადგენენ.



გამოკითხული ორგანიზაციების უმეტესობა წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების (75.6%) და სათემო ორგანიზაციას (9.8%) საქმიანობის სფეროებს შორის კი წამყვან პოზიციებს იკავებს ახალგაზრდები და ბავშვები, განათლება, თემის განვითარება, ადამიანის უფლებები და გენდერული საკითხები.



ორგანიზაციები სამოქალაქო სექტორისთვის პრიორიტეტულ საკითხებზე საუბრისას გამოყოფენ ადამიანის უფლებებს, ბავშვთა და მოზარდა თემებს, გენდერსა და ქალთა პრობლემებს,სამოქალაქო

საზოგადოების და ადგილობრივი თვიმმართველობის განვითარებას. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მუშაობა მიმართულია იმ პრობლემების გადაჭრისკენ, რომლებიც მათი აზრით ყველაზე აქტუალური და პრიორიტეტულია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით ნაკლები ყურადღება ეთმობა სათემო მუშაობას, რაზეც მიუთითებს სათემო ორგანიზაციების სიმცირე და თემის განვითარების პრიორიტეტული საკითხების მიღმა დატოვება.

ორგანიზაციები, არსებულ რეალობაში ცდილობენ აქტიური ძალისხმევით მიაღწიონ დასახულ მიზნებს, თუმცა ამ პროცესში ისინი არაერთ პრობლემას აწყდებიან, რომელთა შორისაც უნდა გამოვყოთ რამდენიმე ძირითადი საკითხი:

რეგიონების განვითარების დისბალანსი - რეგიონები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან სოციო-ეკონომიკური და დემოგრაფიული თვალსაზრისით, რაც გავლენას ახდენს ორგანიზაციების ფუნქციონირებაზეც. არანაკლებ მნიშვნელოვანია თვითონ რეგიონის შეგნით არსებული კონტრასტიც, იმერეთის მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ურბანულ და ეკონომიკურად შედარებით განვითარებულ დასახლებებში უფრო მეტი ორგანიზაცია მოქმედებს, ხოლო შედარებით მაღალმთიან, ნალებად განვითარებულ და მცირე დასახლებებში ორგანიზაციების რაოდენობაც და აქტივობაც ნაკლებია. ასეთ დასახლებებში ორგანიზაციების მდგრადობა უფრო რთული შესანარჩუნებელია.

კვალიფიციური კადრების მასიური გადინება- რეგიონების განვითარების განსხვავებულ დონეს სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად განაპირობებს კვალიფიციური კადრების მასიური გადინება. დასაქმებისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების სიმწირის გამო ბევრი ადამიანი ტოვებს რეგიონებს, განსაკუთრებით სასოფლო და მცირე ურბანული ტიპის დასახლებებს, შესაბამისად, ორგანიზაციებს უჭირთ პროფესიონალი კადრების მოძიება და შენარჩუნება. ეს კი მათ ხელს უშლის ორგანიზაციული განვითარების, პროექტების შემუშავების, მენეჯმენტისა და ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფაში.

ფინანსური არასტაბილურობა_ ორგანიზაციების უმეტესი ნაწილი სამოქალაქო საზოგადოების ეფექტური ფუნქციონირებისთვის ფინანსური და მასთან დაკავშირებული რესურსების მობილიზებას მიიჩნევს საჭიროდ, მათ წინაშე მდგარ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებზე საუბრისას კი სწორედ ამ საკითხზე ამახვილებენ ყურადღებას.



რესპოდენტების თითქმის ნახევარი(48.8%) ყველაზე მწვავე პრობლემად ფინანსური მდგრადობის საკითხს მიიჩნევს, ამას მოსდევს რეგიონული პროექტების ნაკლებობა(19.5%) და დაფინანსების შესაძლებლობების სიმცირე(17.1%).



ორგანიზაციების ფინანსური პრობლემების ანალიზისას აუცილებლად უნდა შევეხოთ მათი შემოსვალის წყაროებს. კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების უდიდესი ნაწილის(68.3%) შემოსავლის ძირითად წყაროს საერთაშორისო დონორებისგან მიღებული დაფინანსება წარმოადგენს, მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში გამოიკვეთა საწევრო შენატანის, სახელმწიფო ვაუჩერისა და ქრაუდფანდინგის შემთხვევა. დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირების ნაკლებობა სერიოზულ საფრთხეს უქმნის ორგანიზაციების

სტაბილურობას, ვინაიდან დონორების მხრიდან დაფინანსების შემცირება ან პრიორიტეტების ცვლილება ორგანიზაციების დიდი ნაწილის ფუნქციონირების გაგრძელებას ეჭვქვეშ აყენებს.



აღნიშნული პრობლემა შედარებით მწვავედ დგას რეგიონული ორგანიზაციების შემთხვევაში, ვინაიდან მათივე თქმით, დონორები შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობენ რეგიონებს, რის გამოც ისინი მცირე ოდენობით და დაბალი ბიუჯეტის მქონე პროექტებს ახორციელებენ, შედეგად, მათ შემოსავალს არასტაბილური ხასიათი აქვს. დამოუკიდებელი ბიუჯეტის სიმწირის ან სულაც არ არსებობის პირობებში კი უჭირთ პროექტების არ ქონით გამოწვეული ფინანსების დეფიციტის დაბალანსება.



ფინანსური პრობლემების გამწვავებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი პანდემიამ. ამ პერიოდში ორგანიზაციების ნაწილმა ვერ შეძლო ახალ ვითარებასთან ადაპტირება და მინიმუმამდე დავიდა მათი აქტივობა. რეგულაციების გამო შეიზღუდა ან საერთოდ შეწყდა ფასიანი თუ პროექტებით დაფინანსებული სერვისების მიწოდება. ზოგიერთმა ორგანიზაციამ ფუნქციონირებაც კი შეწყვიტა.

პოსტ-პანდემიურ პერიოდში ფინანსური არასტაბილურობა კვლავ დიდ გამოწვევად დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ რეგულაციების გაუქმების შემდეგ მათ შეეძლოთ ადრინდელ რეჟიმში გაეგრძელებინათ მუშაობა, პოსტპანდემიურმა მდგომარეობამ გარკვეული ცვლილებები მოიტანა სექტორისთვის, კერძოდ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პრობლემების გამო როგორც კერძო სექტორს, ისე ადგილობრივ ხელისუფლებას შეექმნა ფინანსური პრობლემები, ამიტომ მათგან თანადაფინასების შესაძლებლობებიც შემცირდა, ამასთანავე დონორებმა დაფინანსების საკმაოდ დიდი ნაწილი მიმართეს სახელმწიფო სექტორისკენ, რათა მათ გაეგრძელებინათ მოქალაქეებისთვის მნიშნელოვანი სერვისის მიწოდება და სხვადასხვა გამოწვევაზე ეფექტური რეაგირება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დონორებისგან მიღებული დაფინანსება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის ძირითადი შემოსვალის წყაროა, მისი შემცირება კი მათ უფრო რთულ მდგომარეობაში აყენებს.

დონორებთან კომუნიკაცია_ პანდემიის გამო განსაკუთრებით დიდი ზიანი მიადგა რეგიონებს, შესაბამისად რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ სსო-ებიც, ამიტომ რესპონდენტების აზრით, მნიშვნელოვანია დონორებმა მეტი ყურადღება დაუთმონ რეგიონებს. ამის გარდა, ორგანიზაციებისა და დონორების ხედვა რეგიონულ პრიორიტეტებთან დაკავშირებით გარკვეულწილად განსხვავდება, შესაბამისად გამოკითხულთა დიდი ნაწილი (73.2%) მიიჩნევს რომ დონორები საგრანტო კონკურის გამოცხადებისას მეტნაკლებად ითვალისწინებენ რეგიონის საჭიროებებს.ერთ-ერთი რესპონდენტის აზრით,„მეტი საჭიროებებზე მორგებული პროექტის დაფინანსება უნდა მოხდეს. ქვემოდან ზემოთ საჭიროების იდენტიფიცირების პრინციპით.“

შესაბამისად, იმისთვის რომ თანამშრომლობა მეტი შედეგის მომტანი იყოს ისინი საჭიროდ მიიჩნევენ უფრო აქტიურ კომუნიკაციას. მიუხედავად იმისა, რომ უკვე არსებობს სამოქალაქო საზოგადოების დონორთა კონფერენცია, სადაც ხდება დონორებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს შორის შეხვედრა, რესპონდენტების აზრით, კიდევ შეიძლება

დამატებითი ნაბიჯების გადადგმა ამ მიმართულებით.



ახლადშექმნილი ორგანიზაციები ასევე აღნიშნავენ, რომ მათთვის განსაკუთრებით რთულია საგრანტო დაფინანსების მოპოვება და ფიქრობენ, რომ ამ კუთხთ მათი მხარდაჭერა მნიშვნელოვანია სამომავლო განვითარებისთვის. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, ,,დონორების ყურადღება ხშირად მიმართულია დიდ სსო-ებზე და კოალიციურ პროექტებზე. მაშინ როცა სსო-ების მდგრადობა დამოკიდებულია დონორების მხარდაჭერაზე, განსაკუთრებით უჭირთ შედარებით პატარა/დამწყებ სსო-ებს.''

ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა_კვლევის ერთ-ერთ საკითხს ასევე წარმოადგენდა ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის დონე. რესპოდენტების უმეტესობამ აღნიშნა, რომ აქვს როგორც რეგიონის შიგნით, ისე ქვეყნის მასშტაბით მოქმედ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გამოცდილება. თუმცა, ორგანიზაციათა ნაწილი, განსაკუთრებით ახლადშექმნილი ორგანიზაციები ხაზს უსვამენ სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და ერთობლივი პროექტების ნაკლებობას, რაც მათ მისცემდათ გამოცდილებისა და ცოდნის გაღრმავების, ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფისა და ცნობადობის გაზრდის საშუალებას.

აქვს თუ არა თქვენს ორგანიზაციას იმერეთის რეგიონში (ან სხვა რეგიონში) მოქმედ ორგანიზაციას(ებ)თან თანამშრომლობის, ერთობლივი პროექტების განხორციელების გამოცდილება?

სახელმწიფო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა_ ორგანიზაციების უდიდესი ნაწილი(68.3%) სახელმწიფო ინსტიტუტებთან თანამშრომლობას საშუალო ხარისხით აფასებს.რეგიონის დონეზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ადგილობრივ თვითმართველობასთან თანამშრომლობა. ვინაიდან თვითმართველობა განსაზღვრავს ადგილობრივ პოლიტიკას, ამტკიცებს ბიუჯეტს და ახორციელებს პროექტებს, მნიშვნელოვანია ამ პროცესში ჩართულები იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც, რათა მათ შესაძლებლობა ჰქონდეთ გააჟღერონ საკუთარი ინიციატივები,პროცესი იყოს უფრო ინკლუზიური და გადაწყვეტილების მიღების პროცესში გათვალისწინებული იყოს განსხვავებული მოსაზრებები და ხედვები.



რეკომენდაციები

იმერეთის რეგიონში მოქმედ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ეფექტური მუშაობისთის მნიშვნელოვანია მოხდეს რეკომენდაციების გათვალისწინება, იმ ძირითად საკითხებთან დაკავშირებით, რაც ყველაზე მეტად აფერხებს მათ მუშაობას. კერძოდ:

ფინანსური სტაბილურობა _ ორგანიზაციების მდგრადი განვითარებისა და შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია მათ სწორად მოახდინონ პროექტებისა და ორგანიზაციის ფინანსური მენეჯმენტი, რისთვისაც აუცილებელია მათი კომპეტენციისა და უნარების გაძლიერება. პანდემიურმა პერიოდმა ასევე დაგვანახა, რომ ორგანიზიაციებს სჭირდებათ კრიზისების მართვის გეგმის შემუშავება და დანერგვა, რასაც თვითონაც ხაზგასმით აღნიშნავენ. ყველაზე მნიშვნელოვანი კი, შემოსავლის წყაროების დივერსიფიკაციაა, ორგანიზაციებმა უნდა მოიძიონ სხვა ტიპის დაფინანსების შესაძლებლობებიც, ვინაიდან დონორთა პრიორიტეტების ცვლილების ან დაფინანსებული პროექტების არ ქონის შემთხვევაში მათი ფუნქციონირება შესაძლებელია საერთოდ შეწყდეს.

დონორებთან კომუნიკაციის გაძლიერება_ მოცემულ ვითარებაში, სანამ ორგანიზიაციების დაფინანსების დივერსიფიცირება მოხდება, დონორებთან შესაბამისი კომუნიკაცია მათი ფუნქციონირებისთვის საკვანძო მნიშვნელობისაა**.** ვინაიდან იმერეთის

სსო-ებში არსებობს მოსაზრება მათი და დონორების პრიორიტეტების ნაწილობრივ აცდენის შესახებ, მეტი კომუნიკაცია ერთი მხრივ ორგანიზაციებს დაანახებს დონორების ხედვებსა და მიზნებს, მეორე მხრივ კი ორგანიზაციებს საშუალებას მისცემთ თავიანთი სათქმელი მიიტანონ დონორებთან რეგიონების საჭიროებებთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი პლათფორმა სამოქალაქო საზოგადოების დონორთა კონფერენციის სახით უკვე არსებობს, ამ მხრივ დამატებითი ნაბიჯების გადადგმა თანამშრომლობის ეფექტურობას კიდევ უფრო გაზრდის.

ცალკე უნდა აღინიშნოს ახლადშექმნილი ორგანიზაციების საკითხი. მათი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია დონორებისგან მიეცეთ საგრანტო დაფინანსების მიღების საშუალება, რათა შეძლონ სექტორში თავიანთი ადგილის დამკვიდრება და სტაბილური განვითარება.

კომპეტენციის გაძლიერება_ რეგიონებში არსებული ორგანიზაციების წინაშე უფრო მწვავედ დგას კადრების ცოდნისა და გამოცდილების ნაკლებობის პრობლემა, ამიტომ ამ მიმართულებით მათი გაძლიერება ხელს შეუწყობს ორანიზაციების განვითარებას სხვადასხვა ასპექტში.

სამოქალაქო საზოგადოების/სათემო ორგანიზაციებში დასაქმებული ადამიანები ხედავენ მათ გარშემო არსებულ პრობლემებს, თუმცა ყოველთვის ვერ ახდენენ სიღრმისეულ ანალიზსა და შესაძლო გადაჭრის გზებისა და მიდგომების შემუშავებას. რესპონდენტების უმეტესობა ისურვებდა მონაწილეობა მიეღო უფრო მეტ ტრენინგში, ვებინარსა თუ ვორქშოპში სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე ცნობიერებისა და კომპეტენციის ამაღლებისთვის. ბევრი მათგანისთვის ასევე მნიშნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება მათთვის აქტუალურ თემებზე, რაც პროექტების შემუშავების პროცესში იდეების გენერირებასა და ეფექტური მექანიზმების შემუშავებაში დაეხმარებოდათ.

თეორიული ცოდნის მიღებასთან ერთად ისინი ხაზს უსვამენ პრაქტიკული უნარების გამომუშავების აუცილებლობასაც, საუკეთესო გამოსავალს კი გამოცდილ ორგანიზაციებთან თანამშრომლობაში ხედავენ. ამ გზით მათ შეუძლიათ ახლოდან შეისწავლონ ორგანიზაციების სტრუქტურა, მუშაობის პრინციპები და მეთოდები, ადმინისტრაციული და ფინანსური მენეჯმენტი და რაც მთავარია, თუკი მათთან ერთად განახორციელებენ კოალიციურ პროექტებს, ასე არა მარტო პრაქტიკულ ცოდნას მიიღებენ, არამედ შესაძლებლობა ექნებათ გაზარდონ საკუთარი ცნობადობა და ნდობა დონორებში, ეს თავის მხრივ დაეხმარება მათ შემდგომში დამოუკიდებლად განახორციელონ პროექტები.

სახელმწიფო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა_ ვინაიდან, სამოქალაქო საზოგადოებას უდიდესი როლი აქვს სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების, მოქალაქეთა პრობლემების ადვოკატირებისა და მოგვარების საკითხში, მნიშვნელოვანია რომ თვითმართველობის და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან კომუნიკაცია და თანამშრომლობა გაძლიერდეს.